



მუზეუმის განვითარების გამოწვევები და მათი როლი ტურიზმის
სფეროში

ანა ფილფანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

ტურიზმის მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი :გიორგი ბეგაძე,
ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ფილფანი

30.01.2022

აბსტრაქტი

საქართველო მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის მქონე ქვეყანაა. მუზეუმები კი, ამ კულტურისა და ისტორიის საცავს წარმოადგენენ. ამ ფაქტის მიუხედავად ჩვენს ქვეყანაში მუზეუმების პოტენციალი სრულად არ არის ათვისებული. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მუზეუმების ნაწილი რიგი პრობლემების წინაშე დგას. ნაშრომში განხილული არის, როგორც მუზეუმების კულტურული და ეკონომიკური როლი, აგრეთვე მათი პრობლემები და გამოწვევები.

მუზეუმების წინაშე მდგარი გამოწვევების უკეთ შესასწავლად კვლევა ჩატარდა ორ ეტაპად. პირველი ეტაპი მოიცავდა ქართული მუზეუმების ადმინისტრაციებთან ტელეფონით დაკავშირებას და გამოკითვას, აგრეთვე საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის შესწავლას და მონაცემების ერთობლივ დამუშავებას, რითაც დაიხატა საქართველოში არსებული მუზეუმების სურათი. კვლევის მეორე ეტაპზე კი, ინტერნეტში მოძებულ იქნა საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული მუზეუმების შესახებ ინფორმაცია, მოხდა მათი ეკონომიკური სარგებლისა თუ ტექნოლოგიური მიღწევების ანალიზი.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა მუზეუმების ტექნოლოგიური განვითარების შესაძლებლობები; გამოწვები, რომელთა წინაშეც დგანან დღეს ისინი, გამოწვევათა შორის უმთავრესია ინფრასტრუქტურა და ტექნოლოგიებთან ხელმისაწვდომობა; აგრეთვე, როგორც კვლევის დროს გამოჩნდა, მუზეუმებისა და ტურმიზმის სხვა დარგებს შორის კომუნიკაცია არცისე ეფექტურია. აღნიშნული პრობლემები ხელს უშლის მუზეუმების სრული ეკონომიკური პოტენციალის ათვისებას და ტურიზმის გავითარებას.

Abstract

Georgia has a rich cultural heritage. Museums are huge repositories of our country's culture and history. Despite this fact, the potential of museums is not fully acknowledged, research has shown that Georgian museums are facing several problems. In the paper, we will discuss both the cultural and economic role of museums, as well as their problems and challenges.

The study consisted of two stages, to better explore the challenges that museums are facing. The first stage included contacting Georgian museum administrations via phone and surveying them, as well as studying public information published by the Georgian Statistics Service and processing all the gathered data to draw a better picture of museums in Georgia. In the second stage of the research, information was found on the Internet about museums outside Georgia, we were interested in their economic contributions and achievements in technology.

The research indicated the opportunities that museums have for technological development; The challenges they face today, which include infrastructure and lack of access to new technologies; Also, as research found out, museums and other areas of tourism don't have sufficient communication between each other. These problems stop museums from using their full economic potential and generally slows down the development of tourism.

მადლობა

დიდი მადლობა სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, გიორგი ბეგაძეს, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ნაშრომის თემის ჩამოყალიბებაში. ასევე მისი წვლილი დიდია პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ ზრდაში. მადლობა გაზიარებული ცოდნისა და გამოცდილებისთვის.